საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

პრესრელიზი
Press Release

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477;  2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

**ფილმის ,,დაკარგული ისტორია“ პრეზენტაცია**

30 იანვარს 14:00 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში  გაიმართება საზოგადოებრივი მაუწყებლის ფილმის ,,დაკარგული ისტორია“ პრეზენტაცია, რომელიც მაუწყებლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ ერთობლივად მომზადდა.

პრეზენტაციას დაესწრება შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა, ისტორიკოსები, მკვლევარები და მოწვეული სტუმრები.
ფილმში აღწერილია უშიშროების არქივის ისტორია. მოთხრობილია არქივში მოხვედრილი პირველი სისხლის სამართლის საქმის შესახებ.  აღწერილია არქივის ქ. სმოლენსკში გატანისა და განადგურების ფაქტები.

თბილისის ომის დროს განადგურდა, დაიკარგა და დაიწვა უშიშროების არქივის 80 პროცენტი, მათ შორის სისხლის სამართლისა და საიდუმლო თანამშრომელთა პირადი და სამუშაო საქმეები. ფილმში ასევე მოთხრობილია, როგორ გადასცა უშიშროების კომიტეტმა ლიტერატურის მუზეუმს, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სისხლის სამართლის საქმეები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის.

მისამართი: გმირ კურსანტთა ქ. #1, თბილისი 0167
www.policeacademy.ge